



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს # 22 დადგენილებით
„ 24 „ „ აპრილი „ 2018 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ინფორმაციის ტექნოლოგია

06112

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას 14/სენაკი, მშვიდლობის 192

ვებ გვერდი : zssu.ge

ზუგდიდი

2018 წელი

I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology

II. სარეგისტრაციო ნომერი: 06112-პ

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში - Third level vocational qualification in Information Technology Support;

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება - „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მონაცემთა ბაზების, ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“ (კოდი 0612).

IV. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი - „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი“
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO): 3512 Information and Communications Technology User Support Technicians
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED): 0612 Database and network design and administration
- Cisco IT Essential

V. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო განათლება

VI. მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ეკონომიკური სახეების ეროვნულ კლასიფიკატორში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს:

- სექცია J – ინფორმაცია და კომუნიკაცია: 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები;
- სექცია S - სხვა სახის მომსახურება: 95.11 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების შეკეთება; 95.11.0 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების შეკეთება.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO): 3512 Information and Communications Technology User Support Technicians.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც შეძლებს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენებას, განახლებას, დაზიანებების აღმოფხვრას, ოპტიმიზაციას, დიაგნოსტიკას და ფლობს მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

IX. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

X. სტრუქტურა და მოდულები:

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
4.	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება	2
5.	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	2
6.	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	4
სულ:			16
საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
7	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	საბაზო განათლება	7
8	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	საბაზო განათლება	6
9	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	საბაზო განათლება	7
სულ:			20
პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
10	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	საბაზო განათლება	1
11	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	ყველა პროფესიული/დარგობრივი მოდული	6
12	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	საბაზო განათლება	7
13	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	საბაზო განათლება	4
14	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	საბაზო განათლება	6
სულ:			24
ჯამი:			60

XI. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 60 კრედიტი
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის-75 კრედიტი--
(დანართი 4-ქართული ენა A2-15 კრედიტი)

სავარაუდო ხანგრძლივობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 11 სასწავლო თვე
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 14 სასწავლო თვე

XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

1. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

2. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

2.1 განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

2.2 განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

3. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

4. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რაზეც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, საერთო სავალდებულო და პროფესიული/ დარგობრივი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XV. პარტნიორი ორგანიზაციების სია:

ზუგდიდის ბაზა

1. შპს „ახალი ქსელები“
2. შპს „ორდუნეტი“

სენაკის ბაზა:

1. სს „სილქნეტის“ სენაკის სერვისცენტრი
2. შპს „ნოულიეჯ“

დანართი 1 - სასწავლო გეგმა 1 (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)

სასწავლო გეგმა 2 (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)

დანართი 2 – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 3-- მოდულები

დანართი 4- ქართული ენის მოდული

დანართი 5- სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები